საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა "25" 04 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 549/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2013 წლის 18 აპრილის N დმ-7727/03 განცხადებით კომპანიის „ანდრეას სტილ აგ & კო კგ" (მის: 115, ბადშტრასე, 71336 ვაიბლინგენი, გერმანია) წარმომადგენლებმა მარტინ ველკერმა და გიუნტერ სტოლმა მოითხოვეს სასაქონლო ნიშანზე „S" (რეგ. N 1943) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „S" (რეგ. N 1943) საქართველოში რეგისტრირებულია 11.04.1996 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 11.04.2016 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-7 და მე-8 კლასების საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „S" (რეგ. N 1943) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით (მოთხოვნის რეგისტრაციის N 231, მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 25.04.2013).

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს გრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ეკატერინე ეგუტია

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; კომპანიის „ანდრეას სტილ აგ & კო კგ" წარმომადგენლებს მარტინ ველკერს და გიუნტერ სტოლს (მის: 115, ბადშტრასე, 71336 ვაიბლინგენი, გერმანია).

ასლი დედანთან სწორია
25 04 2013 წ.
მდივანი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი:

რეგისტრაციის N: **1943**

მფლობელი: **ანდრეას სტილ აგ & კო კგ**

მისამართი: **115, ბადშტრასე, 71336 ვაიბლინგენი,, გერმანია**

კლას(ებ)ი:

7 - საჭრელი ხელსაწყოები (ხერხები) და მათი შემადგენელი ნაწილები, სათადარიგო ნაწილები და დამხმარე მოწყობილობები, კერძოდ, ჯაჭვები, წარმმართველი ჯაჭვები, კბილანები, ქუროები, კარბიულატორები, ზეთის ტუმბოები; მექანიკურად მომუშავე ქვის საჭრელები; მოწყობილობები პირველად (შავად) ხეხვისათვის; მესრის მექანიკური საჭრელები; მექანიკური შემასხურებლები სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობისათვის; მექანიკური ბურღები; მექანიკური სალესი ხელსაწყოები საჭრელების ჯაჭვებისათვის; ტყის საჭრელი მანქანები და ხელსაწყოები, მანქანები ხის მასალის შესაგროვებლად; ჰაერის მიმართული ნაკადის შემქმნელი შესაბერი აპარატები მოძრავი სითხეებისა და ხსნარების გადასაადგილებლად და სველი ზედაპირების გასაშრობად.

8 - ხელით სამართავი ქვის საჭრელები, ხელით ასამუშავებელი მესრის საჭრელები; ხელით სამართავი მექანიკური სალესი ხელსაწყოები საჭრელების ჯაჭვებისათვის.